1877—1894

№ 196

ხუთშაბათი, 16 სექტემბერი 1894

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

№ 196

ხუთშაბათი, 16 სექტემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაგზავნელად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრულად და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ვ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1297—14)

იოსელიანის ახალი წიგნი იხილე მე-4 გვერდი.

რედაქცია «კვალისა» და «ჯეჯილისა» 18 სექტემბრიდან გადავა არტილერიის ქუჩაზედ კორპუსის პირდაპირ, გოლოვინის პროსპექტთან, თამამშოვის სახლში. (3—6—1)

## ქუთაისში

ს. ი. ოცხელის სასწავლებელში და საყმაწვილო ბაღში მიიღება ბავშვები ორივე სქესისა 5—7 წლამდის 5 მან., 7—9 წლამდის 10 მ.

(5—1688—4)

## დეპეშა

14 სექტემბერი

**სამარა.** პურზედ ფასის მოსამატებლად მოწოდებულმა საგანგებო კრებამ საგუბერნიო ერობისამ გადასწყვიტა: იშუამდგომლოს წინაშე მთავრობისა, რათა თვით სახელმწიფომ იკისროს სათადარიგოდ პურით შენახვა, მიენიჭოთ გლეხებს უფლება, სახელმწიფო ხარჯი და დარჩენილი გარდასახადი ფულის მაგიერად პური შეიტანონ, დაუკლონ ფასი რუსეთის შორეულ ადგილებში პურით გადატანას, კვლავ განაგრძოს საინტენდანტომ პურის შესყიდვა და საზოგადოდ შემცირებულ იქმნას ფასი პურის გადატანისა საზღვარ-გარედ, როცა პურს იქაურ მაზრებში ფასი მოემატება.

## ახალი ამბავი

*** იმიერ კასპიის მხარეს უნდა დააარსონ უმთავრესი მმართველობა სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა. ამ უმთავრესის მმართველობის პროექტის შედგენა, როგორც შევიტყეთ, მიუნდვიათ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეს თანაშემწის ო. ფ. მარკგრაფისთვის.

*** ტფილისის გუბერნიის სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მმართველად განსვენებულ, ი. ს. ხატისოვის ალაგას, დანიშნულ იქნება მისი თანაშემწე ო. ვ. მარკგრაფი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ კავკასიის რკინის გზის მმართველობის ინჟენერს ისაევს შეუდგენია პროექტი მავთულის რკინის გზისა, რომელიც გაყვანილ უნდა იქმნას ტფილისსა და კოჯორს შუა. ეს გზა, ანგარიშით, ნახევარ მილიონამდე დაჯდება. ამას გარდა ბ-ნ ისაევს შეუდგენია მეორე პროექტი ტფილისიდგან კოჯრამდე რკინის გზის გაყვანისა. ამ პროექტით, რკინის გზის სიგრძე სულ ათ ვერსამდე იქნება მთის სისტემისა (ლიანდაგი კბილებიანი უნდა იყოს).

*** საუფლისწულო უწყებას ბორჯომის მაზრაში უყიდნია თავადის სვიატოპოლკ-მირსკის მიწები.

*** მკითხველებმა უწყიან რა ამბავი მოხდა ქალაქის გამგეობასა და სამოსწავლო უწყებას შორის სამის ახალის საქალაქო სასწავლებლის შესახებ, რომელთა დაარსებაც ქალაქის საპკომ გადასწყვიტა. ამ ამბისა და უთანხმოების გამო ქალაქს მაინც ვერ ეღირსა საქალაქო სასწავლებლების დაარსების სურვილის განხორციელება. საქალაქო სასწავლებლების დაარსება-კი რომ ყოვლად საჭიროა, ამას ეჭვი არა აქვს. აი, სხვათა შორის რა ამბავს გვაუწყებენ: კუკიის საქალაქო ქართულს სასწავლებელში 200 მთხოვნელი იყო თურმე ამ წელს, რომელთა შორის მხოლოდ 45 ყმაწვილი მიუღიათ, დანარჩენთათვის-კი უარი უთქვამთ უადგილობის გამო. მგონი კარგი იქნებოდა, რომ ამ განყოფილებასთან საპარალელო განყოფილება მაინც დაეარსებინათ და ამითი დაეკმაყოფილებინათ მრავალთა სწავლის მსურველთა საჭიროება.

*** მოკლულს ჩერნეცკის ქალს, რომელსაც შვიდ მილიონამდე ფული და ქონება დარჩა, ტფილისში გამოუჩნდა ნამდვილი მემკვიდრე, რომელიც ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ ჰმსახურობს.

*** ქალაქის გამგეობას ამ ახლო ხანში კერძო კრება ექმნება იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, თუ რა გზით შეისყიდოს ქალაქის გამგეობამ უსახელო საზოგადოების ცხენის რკინის გზა, რომელსაც მერმისს უთავდება ვადა ხელ-შეკრულობისა და ქალაქის გამგეობას უფლება ეძლევა ამ გზებისა, ცხენების და ვაგონების შესყიდვისა. ქალაქის გამგეობას სწადიან, თუ მთავრობა ნებას არ დართავს ერთი მილიონი აიღოს სესხად, აქციონერ საზოგადოება შეადგინოს და თუ ესეც ვერ მოახერხა, მაშინ ცხენის რკინის გზა ისევ უსახელო საზოგადოებას დარჩება ოც-და-ათის წლის განმავლობამდე, მხოლოდ ქალაქის მმართველობამ მერმისს ახალი პირობა უნდა დაუწეროს უსახელო საზოგადოებას.

*** ჩვენ მივიღეთ პაწია წიგნაკი, იაფი საყმაწვილო წიგნთ-საცავი, კ. თავართქილაძის მაღაზიის მიერ დაბეჭდილი ახალ-სენაკში: „ჰონის შაგირდი ანუ დაკარგული ბავში“, სალასი, მეორე გამოცემა. წიგნაკი შეიცავს სულ 13 გვერდს და ჰღირს 2 კაპ.

*** გუშინდელს ნომერში დაბეჭდილის ნიაღვარის ნავს ერთი ამბავიც უნდა დავუმატოთ. ამ ნიაღვარმა ავჭალის ქუჩიდგან ერთი ყმაწვილი მოიტაცა. „დიდ-ხევასთან“, რომ ჩაიტანა, იქ მდგომმა ბაგრატ მონთოევმა შეამჩნია და გადაეშველა. ამ დროს ყმაწვილმა, რაკი მხსნელი დაინახა, მიაძრდა და ისე მაგრათ მოეკიდა კახებში, რომ წააქცია. აღელვებულმა წყალმა ორივე მხსნელი გორაობით გაიტაცა და მდინარეში ჩაიტანა. ამ გარემოებაში მონთოევს წყალმა ჩექმა და ტანისამოსი გაძრო. მონთოევმა მაინც ხელი არ გაუშვა ყმაწვილსა და სცდილობდა როგორმე გადაერჩინა. როცა წისქვილს ქვეშ გაატარა ორივენი, მხოლოდ მაშინ გამოიყვანა წყლიდგან მონთოევმა საბრალო ბავშვი. თითონ მონთოევი ძალიან არის დაშავებული. გადარჩენილის დედის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც დაინახა თავისი რვა წლის ბავშვი ცოცხალი.

*** ქალაქის საბჭოს მეორე კრება იქნება ორშაბათს, 19 სექტემბერს.

*** ბუხარის ემირმა მირ-სეიდაბდულ-ახად-ხანმა გუშინ თავისს მი-

## ფელეტონი

**ნაწყვეტი**

ოჰ, რად არ მიეც, გამჩენო,
კაცს გონი სიბრძნის მფლობელი
და გული სხვისა ჭირისა
თავის ჭირივით მგრძნობელი:
შევიბრალებდით ერთმანეთს,
ვითა და-ძმა და მშობელი,
არ ექნებოდა აღარვის
ვაება მოსათხრობელი.

დ. მაჩხანელი

## ანჯელა

(ფრანჩესკო პომმეტისა)

### I

აივნის კარები გაიღო და სანთლით ხელში გამოჩნდა მოხუცებული დედაკაცი.

— ოჰ, წმიდაო მფარველო ანნა! შეჰყვირა იმან: ეს რა ამბავია?

დედაკაცმა სანთელს ხელი მოაფარა, გაანათა ბნელი ქუჩა და თვალებდაჭყეტილი დააცქერდა ერთს კუთხეს. ძირიდგან ისმოდა ხშირი, გულსაკლავი კვნესა, მაგრამ დედაკაცმა სიბნელის გამო ვერაფერი გაარჩია. ბოლოს ქუჩაზე მიმავალთ ფეხის ხმა მოესმა.

— ვინა ხართ ქრისტიანეო, დაუძახა: ნახეთ ერთი, რა ჰკვნესის აგრე გულ-საკლავად?

გამვლელნი იყვნენ ერთი ქალი და ერთი კაცი. მოსვრილი სახე კაცისა ჰმოწმობდა, რომ ხელოსანი უნდა ყოფილიყო. დედაკაცის ხმის გაგონებაზედ მგზავრები შეჩერდნენ, ყური დაუგდეს კვნესას, რომელიც თანდათან სუსტდებოდა და ძლივს ღა მოისმოდა. როცა მგზავრები მიუახლოვდნენ აივანს, კიბის ნაფეხურზედ დაინახეს რაღაც ძონძები. კაცმა წუმწუმას გაჰკრა და სინათლის შუქზედ აშკარად გაარჩია ძონძებში გახვეული მძინარი ახალგაზდა ქალი. ხელოსნის თანამგზავრმა ოდნავ შეანძრია მძინარე.

— ჰე, ქალო, აბა გაიღვიძე! ჩასძახა.

ყმაწვილმა შეიკანკალა, საცოდავად ამოიხვნეშა და შემდეგ ისევ ძილს მისცა თავი.

— რა ამბავია, რა ამბავი? კითხულობდა აივნიდგან დედაკაცი.

— ყმაწვილი წევს აქა, მიუგო ხელოსანმა: უთუოდ სახლი დაეკარგა და აქ დაწოლილა.

— თუ ღმერთი გწამთ, გააღვიძეთ! შეეხვეწა დედაკაცი: აი ეს ერთი საათია, რაც მაგის კვნესა მესმის; გასინჯეთ კიდეც, რა სტკივა მაგ საცოდავს!

კაცმა ისევ გაჰკრა წუმწუმას, ქალმა კიდევ ხელ-მეორედ შეანძრია. ახლა-კი გამოირკვა ყმაწვილი, თავი მაღლა აიღო, თვალები გახილა, მაგრამ მაშინვე მილულა და ბურანში ბოდვას მოჰყვა: «მომეცით ფული, მომეცით ფული და მე მშვენიერს საგალობელს გიმღერთ». ხმა შესწყდა. ყმაწვილმა თავი გვერდზედ გადაჰკიდა, თითქოს ძილს უნდა მიეცეს ისევაო, მაგრამ ამ დროს ხელოსანმა სტაცა მაგრად ხელი, წამოაყენა ფეხზედ და ჰკითხა:

— სადა სცხოვრობ?

— ძველ საბაჟოსთანა, მიუგო შეშინებულმა ყმაწვილმა და თითქოს მოაგონდა რამეო, სახე დარდიანად შეეჭმუხვნა, აკანკალებული ხელი ჩაიყო ძონძებში და, ხელ-ახლა სახეგაბრწყინვებულმა ფული ამოიღო.

— თუ ღმერთი გწამთ აჩვენეთ მაგ საცოდავს გზა!—ემუდარებოდა აივნიდგან სანთლიანი დედაკაცი.

— წავიდეთ, ჩემო გოგონა! ჩვენ მიგაცილებთ სახლამდე. უთხრა მგზავრმა დედაკაცმა და ხელი დაუჭირა.

ყმაწვილი სულ რვა წლისა იქნებოდა. დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანისამოსში გამოჩანდა კოხტა და ეშხიანი სახე, რომელსაც ორი ბჭყვრიალა, შავი თვალი ამშვენებდა.

გადადგეს თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, თითქოს უცბად გამოირკვაო, გაუსხლტა ყმაწვილი დედაკაცს ხელიდან და შეჰყვირა: „არა არ შემიძლიან, ვერ წამოვალ შინა“!

— რატომ.

— იმიტომ, რომ ათი სოლდი *) არ მომიკრეფია და თუ ამდენი არ მექნება, შინ ძალიან მცემენ.

— რას ამბობს, რასა გთხოვთ? დაიძახა აივნიდგან მოხუცებულმა დედაკაცმა, რომელიც სანთლით ხელში ჯერ კიდევ გაჰყურებდა მიმავალთ.

— ჰო, ეს ერთი იმ უბედურთაგანია, რომელთაც ყოვლად საძაგელი დედები გზავნიან ქუჩა-ქუჩა სამათხოვროდ. თუ ათი სოლდი არ მივიტანე შინა, მცემენო,—მიუგო ქუჩიდგან დედაკაცმა.

— ოჰ, ღმერთო, რა არის ეს წუთი სოფელი!—ბუტბუტებდა აივანზედ დედაკაცი, მერე ამოიღო ჯიბიდან ორი სოლდი და გადისროლა ქუჩაში. გახარებულმა გოგომ მადლობის ნიშნად აივანზედ მდგომ დედაკაცს თავი დაუკრა.

— გაკურთხოს შვილო, ღვთისმშობელმა. მოხუცებულმა ცოტა ხანს კიდევ უყურა მიმავალთ. შემდეგ მოტრიალდა, შეაღო კარები და აივანი სულ-ერთიანად დაბნელდა.

ქუჩის მისახვევში ხელოსანმა თითით ანიშნა უცნობ ყმაწვილს ძველი საბაჟო:

— აქედგან შორს არ არის საბაჟო, უთხრა იმან: წადი პირდაპირ, ეცადე გზა არ აგერიოს.

*) სოლდი ჩვენს კაპეიკს უდრის თითქმის.

ნიტრებს უბრძანა: ამის შემდეგ ხალათების მაგივრად უნდა სერთუკები ჩაიცვათო, და ამის გამო გუშინვე ემირის ამალამ ტფილისშივე მკერვალ შერემეტიევს მისცეს შესაკერად ოცამდე სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მუნდირები.

*** ოთხშაბათს 14 სექტემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში კრება ჰქონდათ ხმოსან ექიმებს სასანიტარო სამკურნალო ინსპეკტორის ამოსარჩევად. კრებაზედ სულ 7 ხმოსანი ექიმი დაესწრო; მათგან ერთმა ექიმმა, სახელდობრივ ბ-ნმა ქუჩარიანცმა არ მოინდომა ამ თანამდებობაზედ კენჭის ყრა, და სულ ორი კანდიდატი დარჩა, ექიმები ვართანოვი და სტეფანოვი. რადგანაც კრებაზე ცოტა ხმოსნები დაესწრნენ, ამიტომ იგი გადაიდო.

*** ნავთლუღი: 15 სექტემბერს, დილის 6 საათზედ, რკინის გზის ლიანდაგს შუა იპოვნეს გვამი მკვდარის კაცისა. გარეგნობით ეს კაცი თათარსა ჰგავს, რადგანაც ტანისამოსი თათრული აცვია. როგორც ეტყობა, მატარებლიდგან არ უნდა გადმოვარდნილიყოს, რადგანაც რკინის გზის ლიანდაგზედ არსად არ არის სისხლი, მხოლოდ თითონ აქვს დაკოდილი მუცელი და ცხვირი. როგორც ამბობენ ვიღაცა ბოროტ-მოქმედებს მოკლული მოუტანიათ და დაუგდიათ რკინის გზის ლიანდაგთან.

*** 14 სექტემბერს დესიმონის ქუჩაზედ ლაზინის სახლის ეზოში ჭაში ბატი ჩავარდა. ბატის ამოსაყვანად ჩავიდა რუსტამ ალი-ოღლი, ჰაერის სიმძიმემ დისძალა და უკან ვეღარ ამოვიდა. იმას მიეშველა ქერბალაი-ალი-ოღლი, ჩააბა თოკი და ზევით ამოათრია გრძნობა მიხდილი კაცი. ალი-ოღლი საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს ერევნის ქუჩაზედ ოსები კონსტანტინე გოგოლაშვილი და ვასილი უმანეცი ერთმანეთს წაეჩხუბნენ და ხანჯლით დასჭრეს. ორივე სამართალში არიან მიცემულნი.

*** 14 სექტემბერს ივანე ბერიევმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 13 სექტემბერს ღამით ავჭალის ქუჩაზედ დუქნიდგან 50 მან. და ვერცხლის ორი საათი მომპარესო. ეჭვი მიიტანა სოფ. საგურამოს მცხოვრებელს ისააკ ნავდარიშვილსა და იმის ამხანაგს ვიღაც გაბოზე. ნავდარაშვილი შეიპყრეს და იმის ამხანაგსაც დაეძებენ.

# დამკვირდი

სინიდისი ჯერ მეგობარსავით გვამხილებს ხოლმე და შემდეგ გვსჯის ვ თარცა მოსამართლე.

სტანისლასი

**

სად გულ-ზვავობაა ® გარეგანი ბრწყინვალება, იქ შინაგანი ღირსებას ბოლო აქვს მოღებული.

სეიმი

**

კარგად ვერ აღზრდის უმაწვილებს ის ადამიანი, რომელსაც თვისის უმაწვილობიდგან არა ახსოვს-რა.

ქ-ნი მარიამ ებნერ-ეშენბახი

## კორესპონდენცია

**კახეთი** (შუამთობა), 8 სექტემბერი. რაც დღეობები იცის კახეთში, იმათ შორის პირველი ადგილი უჭირავს სამის ეკკლესიის დღეობას: ალავერდისას, თეთრის გიორგისას და შუამთისას. ეს სამივე ეკკლესია-მონასტრები ალავერდის ეპისკოპოსს ექვემდებარება და ბერები განაგებენ. ამ დღეობებში მუდამ ეპისკოპოსი არის მწირველი, და დიდძალი ხალხიც მიაწყდება ხოლმე, მეტადრე თეთრს გიორგისა და ალავერდში, განაღამც დღეობას, სწორზე და სწორის-სწორზედაც. 8 სექტემბერს იყო დღეობა შუამთის მონასტრისა, რომელიც ამ დღის დღესასწაულის სახელზეა აშენებული. ხალხი ამ დღეობაში ძალიან ბლომად იქნებოდა, თუ რომ სიცივეს არ შეეკავებინა ღამის მთევლები. თვით დღეობის დღე-კი ბრწყინვალებდა, რის გამოც მლოცავი ერთი ათად გამრავლდა. მოგეხსენებათ, ჩვენებური დღეობა უბაზროდ არ იქნება, თითქმის ყოველნაირ მოვაჭრეს ჰნახავდით აქ, მიკიტანს-კი ყველაზე მრავალს. მოვაჭრე ხალხისაგან, ვისაც რამე მიაქვს დღეობაში გასასყიდად, ბერები მუდამ ბაჟს იღებენ, რომელსაც ადგილის ქირას უწოდებენ. მაგრამ ვაჭარიც ვაჭარსა ჰქვიან და ამათი ცნობაც უნდა ჰქონდეს ადამიანს. ავიღოთ მაგალითი: სოფლელს შეუკრავს რამდენიმე სარცხი ქვევრისათვის; მეძროხე-მეღორეს დაუწნავს რამდენიმე კალათა; ორივეს უნდა დღეობაში იგემოს მარჯვენის ნამოქმედარი, ორიოდე გროში იშოვნოს, რომ სანთელი აანთოს. ბევრი-კი მიკიტანთან ერთად „უჩოტკავს“ კალათის გამყიდველს ადგილის ბაჟს. დამეთანხმებით, რომ სარცხისა და კალათის გამყიდავი და მიკიტანი, რომელსაც დღეობაში სულ ადგილი არა აქვს, თავთავად გასარჩევი და საცნობია... შუამთობას მშვიდობიანობა იყო, ცოტა მზის ჩასვლისას რომ ჭაჭანაურს ტვინი არ ემღერებინა ზოგიერთის ყმაწვილისათვის.

აქ მაგალითი უნდა წარმოგიდგინოთ იმისი, თუ რამდენად თავი მოაქვს ვაჭარს გულადობაში და რამდენად მხდალი კია ჭეშმარიტად. ტყუილად არ უთქვამს რუსთაველს: „თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი“-ო... მცირე კინკლაობიდ შემდეგ ქართველ ყმაწვილებსა და სომხებს შუა ვნახოთ სამი შეიარაღებული ცხენოსანნი მოპირდაპირე გუნდისა თავს წამოადგა სალტად მომდინარ ყმაწვილებს (თავად-აზნაურები იყვნენ). ერთმა ცხენოსანმა, რომელიც უფრო ტარიელობდა გულით, მკლავითა და იარაღით, ამხანაგების ცხენებს მათრახები გადაუჭირა, ყმაწვილების გუნდი შუა გააპო, რამდენისამე საჟენით დაწინაურდა, მოატრიალა უცბად თავისი ლურჯა და რიხიანად და მათრახის ტკაცანით შემოსძახა: „აბა რა გინდათ! რომელიც კარგი ბიჭი ხართ, მობძანდით, და ვნახოთ, რას გაიტანთო!!“ ამ სიტყვებზედ გადმოხტა ჯეირანივით მოსხლეტილი ვაჟი და უპასუხა: დადექიო! დადექიო, მაგრამ გულმა უმტყუნა, ვეღარ დადგა! ქართველი გამოეკიდა ფეხდაფეხ და იმათაც, რაკი ნახეს ვაჭართ ტარიელ-ფრიდონ ავთანდილთ «ვრაცი» აღარა ხუმრობსო, ახლა-კი ჰკრეს ტაიჭებს და გარდაიხვეწნენ. თუმცა მე აქ არც ერთს არ ვაქებ, მაგრამ არ შეიძლება ძველად ნათქვამი არ მოვიგონოთ: „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო“.

რაღა ბევრი გელაპარაკო, მკითხველო. ხომ შენც კარგად იცი, რომ კახეთი სიცხისაგან სულსა ჰლევდა, თუ რომ ამ თვის დამლევს წვიმა არ მისწრებოდა. სრული სამი თვე იქნება, რაც აქ ნამი არ ჩამოუგდია, პურის მოსავალს ძალიან ავნო გვალვამ, ფეტვი და სიმინდი ხომ სულ არ მოვიდა. რაც უნდა მდარე პური იყოს, სამ მ.ნათ ნაკლებ არ იყიდება კოდი. ყურძნის მოსავალს ამ ბოლოს წვიმებმა ძალიან არგო. ძველი ღვინო კახეთში აღარ არის. განჯა-რატევნის ღვინოები მოაქვთ თელავში გასასყიდად. საკვირველი არ არის?!

ფშაველიშვილი

# რუსეთი

რუსეთის მწერალი სტრანოლიუბსკი სწერს: მთელმა რუსეთის ერმა, რომ წერა-კითვა ისწავლოს, საჭიროა ორას სამოცის წლის განმავლობაში ყოველს წელს დაარსდეს რუსეთში სამი ათასს ორას-სამოცი სკოლა».

—

რუსეთის მემამულენი შუამდგომლობენ, მეურნეობის მინისტრის წინაშე, რომ ხარკოვში, როგორც რუსეთის შუა გულ ადგილს, მთავრობამ დააწესოს უმაღლესი სამეურნეო ინსტიტუტი. მემამულენი და მეურნენი თხოულობენ, რომ ეს სასწავლებელი მერმისისთვის იქმნეს; მხოლოდ ისე-კი, რომ ათასის სტუდენტის დატევა შეიძლებოდეს.

—

ხმა დადის, რომ მეურნეობისა და ფინანსთა მინისტრების შორის აღძრულია ის საკითხავი, თუ რა პირობებით უნდა მიეცეთ სოფლელ მწარმოებელთ სესხი მსხვილ ფეხის საქონლის გირავობით.

—

აბრეშუმის წარმოების გასავრცელებლად, რუსეთში მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გადასწყვიტეს: იშუამდგომლონ სწავლა-განათლების სამინისტროს, უწმინდეს სინოდის, იმპერატრიცა მარიამის და კერძო უწყებათა წინაშე, რომ საცა-კი შეიძლება, დაბალს და ზოგიერთს საშუალო სასწავლებლებში, აბრეშუმის ჭიის მოვლა-გამოკვება შემოიღონ, რათა მოსწავლეებს შეძლება ჰქონდეთ გაიცნონ ჭიის გამოკვების საქმე. გადაწყვეტილია აგრეთვე ურჩიონ საერო დაწესებულებათ, რომ დაეხმარონ ხოლმე ჭიის გამოკვება-მოვლის საქმეს ერობის საერო სკოლებში. თავის მხრით ამ სამინისტროს გარდაწვეტილი აქვს შემოიღოს პრაქტიკული სწავლება ჭიის მოვლისა დაბალს სამეურნეო, საბაღოსნო და სატყეო სასწავლებლებში და აგრეთვე იმ საშუალო სამეურნეო სასწავლებლებში, სადაც დაარსებულია ჭიის მოსაშენებლად სამაგალითო სადგურები. გარდა ამისა წაკითხულ იქნება ახალი კურსები სოფლის მასწავლებლებისათვის და იმართება ჭიის მოძრავი გასაშენებელი.

—

ამ შემოდგომაზედ განზრახვა აქვთ მეურნეოსა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსდეს განსაკუთრებული საბჭო და გამართოს კრებანი, რომელშიაც, იმათ გარდა, რომელნიც ფილოქსერის კომიტეტთა მეთაურნი არიან, მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი ვენახების პატრონებისა. კრება იხელმძღვანელებს იმ ცნობებით, რომელიც შეკრებილია სამინისტროს მიერ საგანგებოდ კავკასიაში გაგზავნილი აკადემიკოსის კოვალევსკისა და პროფესორის მელიქიშვილის მიერ.

—

სუდოგოდსკის მაზრის (ვლადიმირის გუბერნიაში) სოფლის მეურნეთ ამ დღეებში იშუამდგომლეს და სთხოვეს უმაღლესს მთავრობას, ნება დაგვრთეთ ახალი «ტუჩკოვის საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება» დავაარსოთო. ამ საზოგადოებას საგნად ექმნება ერთგვარ ეკონომიური ინტერესების გამო დაკავშირება სოფლის მეურნეთა. საზოგადოების წესდებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: თავისს მუდმივ წევრთ შეძლებისა-დაგვარად მიწის შემუშავებაში დახმარება აღმოუჩინონ, იყიდონ ყოველ გვარი სამეურნეო იარაღები, ჰყიდონ სოფლის ნაწარმოები, ხელი წარუმართონ რომელსამე ახალს დარგს შრომისას, იშოვონ იაფ-ფასად ფული სესხად და საზოგადოდ გააუმჯობე-

---

— კარგად ვიცი გზა, თითქ ის ყოველდღე დავდივარ აქეთ.

— მაშ წადი.

თანაც ხელოსანმა ორი სანტიმი მიაწოდა. დედაკაცმაც მიიზიდა ყმაწვილი, ჩაუდო ხელში ერთი სოლდი და მაგრად აკოცა შუბლზედ. ქალმა ორივეს მადლობა გადაუხადა თავის დაკვრით და ჩქარის ნაბიჯით გასწია შინისკენ.

მგზავრებმა კიდევ დიეხანს უყურეს ბნელს, მიყრუებულს ქუჩაში მარტოდ-მარტო მიმავალს რვა წლის გოგოს და შემდეგ ისინიც დაუბრუნდნენ თავიანთს გზას.

II

ქუჩა თანდათან ბნელდებოდა. ერთ ალაგას, სადაც უფრო მისახვევ-მოსახვევი იყო, სინათლის შუქი სულ აღარ მოჩანდა. ყმაწვილი მაინც შეუშინებლივ მიდიოდა წინ და შეუჩერებლივ მიატოპებდა ღრმა ტალახს. სცდილობდა სიცივისაგან აკანკალებული ხელები დაფლეთილ-დაძონძილ შალის ქვეშ დაემალა. წყნარი და ჩუმი ღამე იყო, მაგრამ საშინელი ცივი და უმთვაროკი.

სიმშილი და სიცივე ძალა-უნებურად მიაქანებდა ყმაწვილს სახლისაკენ. მიუახლოვდა კიდეც თავისს მაინც და მაინც არა სანუგეშო ბინას, მაგრამ ამ დროს შეჩერდა და დაფიქრდა. მოაგონდა, რომ ოთხი სოლდის და ორი სანტიმის მეტი არ მოეკრიბა, ეს-კი საკმარისი არ იყო, რომ გაბედულად, უშიშრად შესულიყო მამის სახლში. მაინც აზრით გამოანგარიშებას არ დაუჯერა, ამოიღო ფული ჯიბიდგან, წყნარად გადაათვალიერა, ერთი ხელიდან მეორეში გადასდო და რომ დარწმუნდა ფულის სიცოტავეს, ზანტად ჩაიყარა ისევ ჯიბეში. ცოტახანს კიდევ დაფიქრდა და შემდეგ თითქოს უგრძნობლად გასწია შინისაკენ. კარები დაუკეტავი დახვდა, ჭუჭრუტანებიდგან სანთლის მკრთალი სინათლე გამობჟუტავდა. გოგომ კარები შეაღო და შევიდა ოთახში. იატაკზედ დაინახა ანთებული თიხის ლამპარი, რამდენიმე გაშლილი ლოგინი და ზედ ტანთ გაუხდელი მწოლარე ხალხი. ყმაწვილის ქალის ფეხის ხმაურობაზედ, ლოგინში უცბად წამოჯდა ზორბა, მაგარის აგებულების კაცი და ხრინწიანის ხმით ჰკითხა:

— შენა ხარ, მალია?

— ჰო, მე ვარ, მამავ! მიუგო ქალმა.

— მომეცი, დაუყვირა კაცმა, თანაც ხელი გაუშვირა. მალია ყოყმანობდა.

— ჩქარა, რაღას ფიქრობ!—ხელმეორედ დაუჭყივლა მამამ.

რაკი დაინახა, რომ ხმას არ იღებსო, მუშტი მოუქნია.

— ჰაა, შე საძაგელო, შენა! მესმის, მესმის. სიცივისა შეგეშინდა განა? გასწი, გასწი დაიკარგე ამ საათში, შე ეშმაკის, ფეხო, შენა! გაბრაზებულმა დაავლო წალს ხელი და ესროლა მას, მაგრამ, მალიას საბედნიეროდ, წაღა სკამს დაეჯახა, რომელიც ბრახიბრუხით გადაგორდა იქით. ამ ხმაურობაზედ დანარჩენს სამს ბალღს და ორ დედაკაცსაც გამოეღვიძა. დედაკცმა, უთუოდ მალიას დედამ, გაჯავრებით დაუწყო ლაპარაკი თავისს ქმარს, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა: ახლა ცოლს მივარდა ლანძღვა-გინებით. ცოლმა ყურადღება აღარ მიაქცია იმის უწმაწურს ლაპარაკს, შეჰყო ბალიშის ქვეშ ხელი და გამოიღო კარგა მოზრდილი პურის ნაჭერი.

— აჰა, აიღე ესა და გასწიე იშოვე სადმე, უთხრა დედამ მალიას.

ქალმა სტაცა პურს ხელი და კარების ბრახუნით გამოვარდა გარეთ.

III

ახლა კი პურის ჭამით წყნარად, თითქოს აღარაფერს არა ჰფიქრობსო, მიდიოდა მალია ქუჩა-ქუჩა, ცა გაკაშკაშებულიყო, ერთი ღრუბელიც კი აღარსადა სჩანდა; სამაგიეროდ სიცივეს უფრო ემატა და სიჩუმეს უფრო საიდუმლოებით მოეცვა ეს ოღრო-ჩოღრო, ტალახით სავსე ქუჩები.

მალიამ გაიარა ტალახიანი ქუჩები, შემდეგ შეუხვია ერთს ვიწრო, მაგრამ მშრალ ქუჩაში, რომელიც დელკარმინეს მოედნისკენ მიდიოდა. ადამიანი არსად სჩანდა, ლაპარაკის ხმა არსაიდგან არ ისმოდა. ყმაწვილმა ქალმა ქუჩა თითქმის გაანახევრა, რომ უცბად ძირის სართულის კარებიდგან ლაპარაკის ხმა მოესმა, ზოგიერთ სიტყვებს ყური მოჰკრა და მიხვდა, რომ იქ მყოფნი ბანქოს თამაშობდნენ. მალია მივიდა კარებთან, ორჯელ-სამჯერ დააკაკუნა, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. შემდეგ მოესმა გაჯავრებულის კაცის ლანძღვა-გინება. შეშინებულმა გოგომ პასუხს აღარ დაუცადა მოტრიალდა და გასწია ქუჩა-ქუჩა. შუაღამემ მოაღწია და ამასთანავე სიცივემ ერთი-ორად უმატა. ცალკე სიარულისაგან, ცალკე სიცივისაგან მოუძლურებული მალია კიბის საფეხურზედ ჩამოჯდა შესასვენებლად. არ გასულა სამი-ოთხი წუთი, რომ შორიდგან სიმღერის ხმა მოესმა, მღეროდა დედაკაცი, მაგრამ მაგარის, კაცურის ხმით. ყმაწვილი იქით გაეშურა, საიდგანაც სიმღერის ხმა ისმოდა. როცა მიუახლოვდა, ერთ დაბალ სახლთან ოდნავ გაღებულ კარებზედ მიყუდებული ახალგაზდა დედაკაცი დაინახა. ხელები შალში დაემალა, თავი უკან გადაეგდო და სიმღერაში გართულიყო, ყმაწვილი მიუახლოვდა და ხელის გაშვერით ფულის თხოვნა დაუწყო.

(შემდეგი იქნება)

სონ მეურნეთა მდგომარეობა. იმ მოხსენების და გვარად, რომელიც წარმოგვდგენილია მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში, არსებითი დახმარება აღმოუჩინებათ: იმ მეურნეთ და გლეხთ, რომელთაც შეძლება არა აქვთ თავისის ფულით შეიძინონ სამეურნეო მოწყობილებანი, ამათ იარაღი ჩ საქონელი ქირით დაეთმობათ; ის მეურნენი, რომელნიც ამ საზოგადოების დახმარებით გაჰყიდიან თავისს ნაწარმოებს, მიიღებენ ამ თავითვე ზოგიერთს ნაწილს თავისის ნაწარმოების ღირებულობისას და სხვა. ამ საზოგადოების წევრად მხოლოდ ის იქნება ჩათვლილი, რომელიც წილს იყიდის. წილი ჰღირს 5 მანეთი.

# უცხოეთი

**კორეს ომი.** დეპეშებიდგან უკვე ვიცით, რომ იაპონელებმა ჩინელები დაამარცხეს კორეში. აი რა დაწვრილებულ ამბავს იუწყებიან ინგლისის გაზეთები ამ გამარჯვების შესახებ: თითქმის რამდენსამე კვირის განმავლობაში როგორც იაპონელები, ისე ჩინელები აგროვებდნენ თავ-თავისს ჯარს კორეში, მაგრამ ერთგვარი სისწრაფით-კი არა. იმ დროს, როდესაც ჩინელების ჯარი ხმელეთის გზით ნელ-ნელა მიიწევდა მტრისაკენ, იაპონელები გემებით ახალ-ახალს ჯარებს ჰგზავნიდნენ. ამის გამო იაპონელებმა უფრო მალე მოაგროვეს ჯარები და გადასწყვიტეს სასტიკი ბრძოლა აეტეხათ. ამიტომ იაპონელების უმთავრესმა ლაშქარმა, რომელიც დაბანაკებული იყო სეულის მახლობლად, ჩრდილოეთისაკენ გასწია იქიდგან მომავალ ჩინელების ჯარების დასახვედრად. ამავე დროს ორი სხვა რაზმი საჩქაროდ უნდა წასულიყო და შეერთებოდა პირველს რაზმს პინგ-იანგის მახლობლად, სადაც ჩინელები უნდა დახვედროდნენ. ეს გეგმა მშვენივრად შესრულდა იაპონელების ჯარმა და თუმცა ჩინელები სცდილობდნენ ხელი შეეშალათ მტრების მოკრებისათვის, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. ჩინელების ჯარმა უკან დაიწია და პინგ-იანგთან გამაგრდა. აი აქ 3 სექტემბერს მოხდა უკანასკნელი ბრძოლა. იაპონელებს უნდოდათ გაეგოთ, როგორს მდგომარეობაში იყო ჩინელების ჯარი და შემდეგს საშუალებას მიჰმართეს. პირველს სექტემბერს ერთი რაზმი იაპონელებისა პინგ-იანგისკენ დაიძრა. ჩინელებმა სროლა ასტეხეს. მაშინ იაპონელებმა მწყობრად უკან დაიწიეს და ამიტომ ცოტა ზარალი მოუვიდათ, მაგრამ თავისს საწადელს-კი მიაღწიეს—ჩინელების მდგომარეობა გაიგეს. მერე მთელი დღე ჩინელების ბანაკის იერიშით აღებისათვის ემზადებოდნენ და გადასწყვიტეს, სამი რაზმი იაპონელებისა, ერთი მარჯვნივ, ერთი მარცხნივ და ერთიც შუაგულს იერიშით მისულიყო. ამავე დროს ჩინელებმა პინგ-იანგი ხელახლად გაამაგრეს და ასე ეგონათ, ჩვენს ბანაკს მტერი ვეღარას დააკლებსო.

3 სექტემბერს, მზის ამოსვლის შემდეგ, იაპონელებმა ჩინელების ციხის სიმაგრეებს ყუმბარები დაუშინეს და ამ სროლამ შუადღემდის გასტანა. ჩინელებიც განუწყვეტლივ ესროდნენ ზარბაზნებს. პირველ საათზედ იაპონელების ქვეითი ჯარი თოფის სასროლ მანძილზედ დაუახლოვდა ჩინელებს და ასტყდა სროლა, რომელმაც მთელი დღე და ღამე გასტანა. რა დარწმუნდნენ, რომ ჩინელების სიმაგრეები საკმაოდ დაზიანდაო, იაპონელებმა ღამის სიბნელით ისარგებლეს, გარს შემოერტყნენ ჩინელებს და გათენებისას იერიშით თავს დაეცნენ. ჩინელების მოწინავე დასი მარჯვედ დაუხვდა იაპონელებს, მაგრამ ვეღარ გაუძლეს სასტიკს შეტაკებას და თავზარ-დაცემულები უკუიქცნენ. ყველა მხრით გზა-შეკრული ჩინეთის ჯარი ბევრ-წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა იაპონელებს და ათასობით ეჟლიტებოდა. მარტო ჩინელების ევროპიულად გაწვრთნილი რაზმი იყო მამაცად. ეს რაზმი თავ-გამოდებით ეწინააღმდეგებოდა იერიშით მისულს მტერს, სანამ უკანასკნელ კაცამდის არ გასწყდა. ამასობაში, იაპონიის ჯარის ერთმა ნაწილმა ისარგებლა ჩინელების არეულობით, იერიში თვით პინგ-იანგის სიმაგრეებზედ მიიტანა და ნახევარ-საათის ბრძოლის შემდეგ დაიპყრო კიდეც.

ჩინელები საშინლად დამარცხდნენ. როგორც ამბობენ, ჩინელებს პინგ-იანგთან 20,000 კაცი ჰყავდათო; ამათში 16,000 მოკლული, დაჭრილი და ტყვედ წაყვანილიაო. გარდა ამისა, იაპონელებს ბევრი სანოვაგე, იარაღი და ასობით ბაირაღი დარჩათ. ჩინელ ტყვეებს შორის ბევრი აფიცერი ურევია. ტყვედ მოხვდა აგრეთვე მანჯურიის ჯარის უფროსი, გენერალი ცოფონკი, რომელმაც მამაცად იბრძოლა, მაგრამ დაჭრილ-დაკოდილმა ვეღარა გააწყო-რა და ტყვედ ჩაუვარდა მტერს.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

რომში პატრიარქების კრება პაპის განკარგულებით წრეულს ოქტომბერში იქნება. ამ კრებაზედ ლაპარაკი ექმნებათ აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკკლესიათა შეერთების შესახებ. ეს საგანი, როგორც ეტყობა, მოსვენებას არ აძლევს ლეონ მე-XIII, თუმცა ამ მსჯელობას, რაც უნდა კარგად წავიდეს საქმე, მხოლოდ აკადემიური ხასიათი ექმნება.

—

ევროპიელ ერთა გადაგვარების მომასწავებელი, ვენის ერთის მეცნიერის აზრით, ჩვენი ცხვირია, რომელიც ესლა დაგრძელდა, გაწვრილდა, შესაბრალისის ასოდ შეიქმნა, თითქოს მეტი და უსარგებლო გახდა პირისახისთვის. ცხვირის დანიშნულება—უნოსვაა და ვენის მეცნიერი-კი გვარწმუნებს, რომ ჩვენი ცხვირი ძლიერ სუნსაც-კი ძლივს არჩევს, მაგრამ ესეც საკვირველი არ არის, ისე დაუპატარავდა ნესტოებიო. „აბა შეხედეთ ჩვენ მოძმე ზანგებს და იმათ ცხვირის განიერს ნესტოებს, რითაც ყოველ უმცირესს სუნსაც-კი ჰგრძნობენ. აი სწორედ ისეთი უნდა იყოს ცხვირი!“

—

როდის დასახლდება მთლად დედამიწა? ინგლისის ერთი სტატისტიკოსი ამბობს, რომ ჩვენს დედამიწას 5,994 მილიონზედ მეტის ადამიანის გამოკვება არ შეუძლიან და ამდენი ადამიანი-კი დედამიწაზედ 2072 წელს იქმნება, ე. ი. 181 წლის შემდეგ. იმ დროსთვის საჭირო იქმნება მოვიხმაროთ მთლად, რაც მინდვრები და უდაბნოებია დედამიწაზედ. კაცობრიობამ ან უნდა იგლოს და აღარ გამრავლდეს, ან უნდა თავისით დაიღუპოსო. უეჭველია, ეს გამოანგარიშება ინგლისელის სტატისტიკოსისა ნამდვილი არ გამოდგება ომიანობისა, რევოლუციისა და გადამდებ სენთა მიზეზის გამო.

# ბიბლიოგრაფია

ლურდი.—რომანი ემილ-ზოლასი

გამოჩენილის მწერალის ემილ ზოლას ახალს რომანს, რომელსაც სახელად «ლურდი» ეწოდება, ბედმა არ გაუღიმა. კრიტიკა ამბობს ამ რომანის გამო, რომ ზოლამ თავის საქმეს მხარი აუქცია და ხელი მიჰყო ოცნებას და მსჯელობას იმ საქმეზედ, რომლისაც არა გაეგებაო. ზოლა საკვირველის ნიჭით გამონახავს ხოლმე საზოგადო ცხოვრებაში ყველასთვის საყურადღებო საგანს და იწყებს ამ საგანზედ მსჯელობას ისეთის სითამამით, ვითომ-და ძლიერ მჭევრმეტყველი იყოს; ის კი არა თუ ბოლოს ისეთს მოულოდნელს დასკვნას დაადგება, რომ მკითხველთ გააოცებს ხოლმე.

უმთავრესი აზრი ზოლასი, ზემოხსენებულ რომანში გატარებული, შემდეგია:

„ამ საუკუნის ბოლოს ერთი უცნაური თვისება აქვს. მოქანცული, გზა დაბნეული კაცობრიობა, დატვირთული მრავალის ცოდნით, ბოლოს პირს არიდებს სულისა და ხორცის მკურნალთა და ხსნას ელის მისტიციზმიდგან. მკითხველსაც ამიტომ შეიძლება ეგონოს, რომ ის მლოცველნი, რომელნიც ლურდში მიდიან, ძლიერ მეცნიერნი არიან და მხოლოდ სიმრავლე ცოდნისა, გამუდმებული შესწავლა მეცნიერებისა და დაღალვა და დაქანცვა ჭკუა-გონებისა აიძულებთ მოშორდნენ მთელს ქვეყანას და მიჰმართონ წმიდა ადგილებს.

დიაღ, მხოლოდ ეს არის, ზოლას აზრით, მიზეზი წმიდა ადგილებში წასვლისა და არა ის ინსტიქტი ადამიანისა, რომელიც მუდამ ერთი და იგივეა ყველა საუკუნის დასაწყისსა, შუაგულსა ჩ დამლევს. მაგრამ აბა ჰკითხეთ ამ მლოცველებს, რომელთაც წერა-კითხვაც-კი არ იციან რიგიანი: მართლა მოგბეზრდათ ბუნების მეტყველება, მეცნიერება, ისტორია? მართლა შეიგნეთ მათი ამაოება და იმიტომ შეუქციეთ ყველა ამას ზურგი და მოხვედით ლურდშიო?—ყველა მათგანი გიპასუხებთ: სულაც არა, ჩვენ არაოდეს არც-კი ვაქცევდით მეცნიერებას ყურადღებასა. კაცი რომ ჯერ ექიმისაგან ელოდეს შველას, მერე ამ ექიმს თავი დაანებოს და ლურდში წავიდეს, ეს, ზოლას აზრით, იმას ნიშნავს, რომ იგი მეცნიერებას ანებებს თავსა და სარწმუნოებას ემხრობა.

აქამდე ზოლა გულმოდგინედ მისდევდა ლომბროზოსა და სხვა იმ მეცნიერთა მოძღვრებას, რომელთაც უკვე გამოსთქვეს თავიანთი აზრი შთამომავლობის შესახებ და ზოლას საქმეც კარგად მიდიოდა. ხოლო როცა მან ოცნებასა და მსჯელობას მიჰყო ხელი, ამ საქმეში ვერას გახდა. ამასთანავე ზოლამ ბოლოს დროს ძალიან გაჭიანურებული წერა დაიწყო. („რუს. ჟიზნ.“).

# ქართული ენა და სილოვანი

(დასასრული*)

გ) ჰ-ს უარ-ვყოფ ქართულ ზმნებშიო და გიორგიძე-კი ამას უცოდინარობას ეძახისო. როგორ არ გესმითო, რომ უცოდინარობა ის არის, როცა კაცმა არსებობაც-კი არ იცის იმ საგნისა, რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს.

მაშ თუ არ უცოდინარობით, რით აიხსნება ის გარემოება, რომ, როდესაც ჰ მესამე პირის აღმნიშვნელია, თქვენ იგი მეტ ბარგად მიგაჩნიათ და ჩაილურის წყალს აზარებთ. მოვიტანოთ მაგალითი: მ-ყვარებია (მ=მე), გ-ყვარებია (გ=შენ), ჰ-ყვარებია (ჰ=იმას). ძველს წიგნებში (ვეფხის-ტყაოსანი, სახარება და სხ.) იხმარება მიჰყო და აქაც ეს ჰ პირის აღმნიშვნელია: მი-მ-ყო, მი-გ-ყო, მი-ჰ-ყო. თუ ჰ გამოვტოვებთ, მაშ მ-ცა და გ-ც შეიძლება გამოვტოვოთ. თქვენით ასრეა, არა? ახლა ვკითხოთ: განა ჰ-ს მნიშვნელობის (ზმნებში) არცოდნას უცოდინარობა არ ეთქმის?

გ) შამეწუხებინა-ს რომ სწერთო,—მეკითხება ბ-ნი სილოვანი,—ეს სადაურიაო, ეს ხომ ავლაბრულია და ნუ თუ ავლაბარს არსად გასცილებიხართ? თავსართი შა მწერლობაში დღეს აღარ არის შეწყნარებულიო, არამედ შე.

მართალი არ გახლავსთ. ყოველთვის და ყოველგან შა შე-დ არ იხმარება, ისე არა, ვითარცა წა წე-დ (წავიდა=წევიდა). მაგალითი: ა) ჩემს გულში შამოჩვეულო (თხზ. რაფ. ერისთავისა, ნ. II, გვ. 28), ბ) შაერთო გრძნობის მორევსა (ბაჩანა „რაფიელ ერისთავს“) და მრ. სხვა. მაშ რაფიელიც ავლაბრულ ენითა სწერს და ამ დალოცვილ ავლაბარს არ გასცილებია?!

დ) საეროვნო-კი არა, საერო უნდაო.

არც საეროვნო უკანონოა, ბ. სილოვან! სიტყვიდგან ეროვნული გვექნება საეროვნო და ხალხშიაც არა ერთხელ გაიგებთ ამ სიტყვას.

დ) მიცა უფრო კანონიერია, ვიდრე მისცაო, ისევ იმეორებს სილოვანი.

აქაც ისევ ის ითქმის, რაც ვსთქვით ჰ-ს შესახებ. ს (ზმნებში: მისცა, დასწვა, დასდვა და სხ.). მესამე პირს აღნიშნავს და მისი არ ხმარება შეცდომაა. აკაკი სწერს: მოსწონდა („კვალი“, № 15), შოთა—მოსთქვამს და სხ. ასრეც უნდა იყოს, ვინაიდგან:

ა) მო-მ-წონდა, მო-გ-წონდა, მო-ს-წონდა.

ბ) მო-მ-თხარა, მო-გ-თხარა, მო-ს-თხარა.

გ) გამო-მ-დია, გამო-გ-დია, გამო-ს-დია.

აქ მ, გ, ს პირის მაჩვენებელნია. თუ ს გადაპრეხილობის მომასწავებელია, როგორც ბრძანებს პატივცემული გ. წ. („კვალი“ № 35, შენიშ. I), მაშ მ, გ-ც გადაპრეხილობა უნდა იყოს და იგინიც უნდა განვდევნოთ და ასრე ვსწეროთ: მე მოწონდა, შენ მოწონდა, მას მოწონდა.

ავიღოთ იგივე ფორმა მრავლობით რიცხვში. მო-მ-წონდნენ (ისინი მე), მო-გ-წონდნენ (ისინი შენ), მო-ს-წონდნენ (ისინი მას).

ა) რომელიმე მწერალს უნდა და არა რომელიმე მწერალს, როგორც გიორგიძე მისწორებსო.

მე გასწორებული მქონდა: „რომელიმე მწერალს“-კი არა, რომელიმე მწერალს ანუ რომელსამე მწერალს უნდაო. მოვიღოთ მაგალითი. „რომელიმე თავ-მოყვარე მწერალი“ („კვალი“, № 14, „ჭრელი ფიქრები“ აკაკისა).

სახ. რომელიმე თავ-მოყვარე მწერალი.

ნათ. რომელიმე (ანუ რომლისამე) თ-რე მწერლის.

მიც. რომელიმე (ანუ რომელსამე) თ-რე მწერალს.

თქვენს გარდა რომელმე ვის უხმარია, ბ. სილოვან, ან-და რომელი ქართველი ჰხმარობს ამ ფორმას.

ვ) „1857 წელში აიღო კალამი“ დავწერეო და გიორგიძემ-კი გამისწორა „1857 წელს“ უნდაო. თუ ითქმის „ჩვენ ვცხოვრებთ XIX საუკუნეში“, რატომ არ ითქმის 1857 წელშიო, აქაც ხომ კითხვა როს უნდაო.

შეცდომაა. „1857 წელს“ ზმნის ზედსართავით (დღეს, ხვალ, უწინ, შარშან და სხ,) იკითხვის რო(დი)ს, ხოლო „ვცხოვრობთ მე-XIX საუკუნეში“ იკითხვის რა დროს ანუ რა დროსა შინა (მე-XIX საუკუნესა შინა და შემოკლებით მე-XIX საუკუნეში).

ზ) „მომესმება“ უნდაო, ბრძანებს ბ. სილოვანი. ამ ზმნის მიმოხვრის გაკვეთილი მომისმინეთ:

აწმყო—მომესმის, ნამყო—მომესმოდა... მყოფადი—მომესმება.

შეცდომაა. მყოფადი: მომესმინება ანუ მომესმის. არსად არ თქმულა *) და არ გაგონილა „მომესმება სიმღერა“, როგორც თქვენ სწერთ.

ჱ) გიორგიძე სწერსო: «არ არის დევნული. აფერუმ, ზმნების მცოდნე ლინგვისტო! ეს დევნული სადაური გრამატიკაა?! თქვენი საკუთარი?! თქვენს ლინგვისტიკას რომ დავენდოთ, გამოვა, რომ სახელ ზმნებისაგან: მიწევნა, მოხვევნა, დათხოვნა და სხ. მიმღეობა ასე იქნება: მიწევნული და სხ. ჩემი „ზმნები“ რომ წაგეკითხათ (მოითმინეთ, წავიკითხავთ) ყურადღებით, ხომ დაისწავლიდით, როდის აქვს მიმღეობას დაბოლოება ილი და როდის ული, დაისწავლიდით, რომ ნამყო ვნებითი მიმღეობა დევნილი იქნება და არა დევნული“

ტყუილად უხარიან სილოვანს. ძველს ნაწერებს ჩვენ უფრო ვუჯერებთ, ვიდრე სილოვანის «ზმნებს» და ხუნდაძის ღრამატიკას. ძველს ნაწერებში კი ვკითხულობთ:

ა) ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის (მათე, 5, 10)

ბ) რამეთუ მოწყენულ არს ჟამი (ფს. 101, 13)

გ) და შეწყნულ იქმნა (ფს. 27, 7),

დ) მიწევნულ**) სიკვდილ (ახალ კარიან. წმ. ნინოს ცხოვ., გამოც. თაყაიშვილისა, გვ. 65)

დღეს ბევრნი სწერენ ქმნილი, დაბეჭდილი და სხ. ძველად ესვე ფორმები ასრე გამოითქმოდა: „ქმნულნი თითთა შენთანი (ფს. 8, 3); „ჰპოვეს იგი საჭურჭლენი, ტა-

---

*) იხ. «ივერია», № 195.

*) სცდებით ბ. გიორგიძე. თუ არ თქმულა, აბა ჩაიხედეთ ხუნდაძის გრამატიკაში, „ქართულ ზმნებად“ წოდებულში და იქ იხილავთ ამ „მოესმება“-ს.

შენიშ. ასოთ-ამწყობისა

**) მიწევნულ თაყაიშვილის გამოცემაში მოწევნულად დაბეჭდილია და დედნის ტექსტში სწერია მიწევნულ (იხ. აღვადგინე).

რისაგან დაბეჭდულნი“ (ვეფხ. ტყ., გვ. 220 ოზურგეთი) და სხ.

სილოვანი კი გვეკითხება: „აფერუმ, ზმნების მცოდნე ლინგვისტო! ეს დევნული საღაური გრამატიკაა! თქვენი საკუთარიო? თქვენი უვიცობისაო? (ვაი ჩვენი ბრალი!)

სატრაბახო დარგი

აქ უნდა გაგაფრთხილოთ, ბრძანებს სილოვანი, რომ, თუ მაინც და-მაინც გაჯიუტდეთ და კვლავ კალამს მოკიდოთ (მოჰკიდოთ) ხელი, გაასწორებიეთ მაინც თქვენი სტატიები ან აკაკის, ან გ. წერეთლის, არც მე დაგიმადლით გასწორებას (სეირს ჩვენც ვუყურებთ) თვარა ხომ ხედავთ, რომ „ივერიის რედაქცია ვერ გაგიწევთ ამ მხრით (!!.) ვერავითარ მფარველობას, და კვალად ისე ადვილათ დაიჭერთ ქართულის უცოდინარობაში, როგორც ესლა დაგიჭირეთ (სწორედ ახლა! დავიღუპე კაკალი კაცი! დევნული, დევნი..!)

ნეტარ იყვნენ დევნულნი (თქვენი დევნილი თქვენის „ზმნებისთვის“ გამოიზოგეთ, ბ. სილოვან!) სიმართლისთვის, გიპასუხებთ ჩვენ. აგრეთვე მფარველობაც თქვენთვის შეინახეთ, ჩვენთვის საჭირო არ არის ვისიმე მფარველობა. დიაღაც სათაკილო არ არის, რომ ან საყვარელმა აკაკიმ და ან პატივცემულმა გ. წერეთელმა გვისწორონ შეცდომები. აკაკისა, ჭავჭავაძისა, გ. წერეთლისა, ორბელიანისა და მათთა თანამედროვე მოღვაწეთა ნაწერების შესწავლით ამოვიღებით ენა. წარმოიდგინეთ, ჩვენმა სკოლის ოსტატმა ანბანის შემდეგ თავდაპირველად აკაკის «ჰოოპუნა» შეგვასწავლა! დიაღ, არ მეთაკილება ამ წარჩინებულ მოღვაწეებმა გამისწორონ ენა, მხოლოდ დაასაბუთონ-კი ნასწორები.

ბ) როგორ ფიქრობთ ახლაო, ბრძანებს სილოვანი, ვის უფრო ცოდნია (სცოდნია!) ჩვენ ორში ქართული ზმნები და მათი მიმოხრა: თქვენ თუ მე? აბა, თუ გულწრფელი ადამიანი ხართ გულს (გულზე) ხელი დაიდევით (აკი «ვი» არ უნდაო? დავიდევი თუ დავიდე! დაიდევით თუ დაიდეთ!) და თქვით.

თქვენ, ბატონო, თქვენ! აბა, როგორ გაწყენინებთ! ყველანი: გიორგიძეც, სახარებაც, დავითნიც ხიდქვეშ თქვენს გრამატიკოსობასთან!

გ) რაც უნდა მაგიერი მიხადოთ *), თქვენ ისე ადვილათ ვერ დამიჭერთ ქართული (ს) ენის უცოდინარობაში, და თქვენს უვიცობას და უცოდინარობას კი ამით (რით? არ გვესმის). მაინც არაფერი ეშველება.

ზევით აშკარად დავანახვეთ მკითხველებს სიმძიმე და მანძილი თქვენ მიერ ენის ცოდნისა. მეტი არ იქნება ახლა ორიოდე მაგალითი თქვენის ზმნებიდგანაც ამოვიღოთ.

„სახელზმნაშიო, გვასწავებს ბ. ხუნდაძე, ოვნა-ზე დაბოლოებული ზმნები აწმყოში ვნა ს კარგავს და უღობ ს მიიღებს სუფიქსათო: თხ-ოვნა—ვთხოულობ, შ-ოვნა—ვშო-ულობ, პოვნა—ვპოულობ (იხ. გვ. 38).

განა ყოველთვის ასრეა? მაშ ძოვნაც ვძო-ულობ უნდა იყოს და არა ვძოვ, წოვნაც ვწო-ულობ და არა ვწოვ!

„ოლა-ზედ დაბოლოებული სახელზმნა აწმყოში ოლა-ს კარგავს და ბოლოში ი-ს მიიღებს პირველ-პირშიო: თრთ-ოლა-ვთრთ-ი, ქრ-ოლა-ვქრ-ი» (იქვე).

არც ეს არის საზოგადო კანონი. მაგ.

წ-ოლა-ვწევარ, ყ-ოლა-მყავს და სხვა.

იქვე (გვ. 87 და შემდ.) აღნიშნულია უცნაური ზმნები: ძინვა, დაცხვა (დაცხომა-ს მაგიერ), და (აქედგან დამცხავდეს, დაცხას), ცივნვა, ქვივნვა, შივნა (შიება-ს მაგიერ), შინვა, რცხვინვა და სხ.

არა კმარა? ამ. საუნჯის პატრონიც გვეუბნება: ჩემი „ზმნები“ ყურადღებით წაიკითხე და ქართულ ენის სიბრძნეს შეისწავლიო. მაგრამ ეს ცოტაა. ბ. სილოვანი, დარწმუნებული, რომ დიდი ბრძოლა გადიხადა, მტერი შემუსრა და გამარჯვებული დარჩა, თავ მომწონედ ნიშნს გვიგებს: „რომ ხედავთ, რომ ჩემისთანა გენერლებისაგანაც გჭირვებიათ (გჭირვებიათ!) ნაპრაკოსა და ნალევოს ძახილი და გზის ჩვენება?«

ღმერთმა ქმნას, ღმერთმა ქმნას! ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა. მაგრამ ვაჲ თუ ამ გენერალმა თავის ღრამატიკით «ბებერ ახალგაზდებს“ «გვიკამანდოს“: დაცხავდეს, ნაპრავო! რცხვინვა, ნალევო! ქვივნვა, შაგომ მარშ-ო!

და ვაჲ თუ ამ გვარ დამცხავდესებით წაიპილწოს ენა ჩვენი და აღსრულდეს ძველი თქმულობა:

განჰრყვნა იგი ეშმან მაღნარისამან და ბრანგმან მძვინვარემან მოჰძოვა იგი.

ამით ვათავებ ყოველგვარ კამათს ბ. სილოვანთან, ვინაიდგან არა ღირს კამათი იმისთანა კაცთან, რომელსაც კრიტიკული შენიშვნა თვით განყენებულ საგნის შესახებ მაგიერის გადახდად მიაჩნია, რომელიც უკადრისად იგინება და ისიც ყოვლად უმიზეზოდ.

გიორგიძე

*) კრიტიკული შენიშვნა ამა თუ იმ საგნის შესახებ, გვგონია, ჭეშმარიტების აღსადგენად უნდა იწერებოდეს და არა მაგიერის გადასახდელად, როგორც ღაღადებს ბ. სილოვანი.

შენიშ. ასოთ ამწყობისა

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! უბედური დღე გათენდა 12-ს სექტემბერს ნაძალადევისა და იმ ნაწილისათვის რომელიც უფრო დიდი ხანია გამენდა:

ამ დღეებში რამდენ ამე მოსახლეს დაუნგრიეს, საცოდაობით აშენებული ქოხები. ვერა კალამი ვერ აწერს მათ უბედურობას, რაც მაშინ იმათ გამოიარეს. ზოგი პოლიციის მოსელეს აღმერთებდა, ზოგი ფეხებში უვარდებოდა, და ევედრებოდა „პოჟალუსტა ნე ლომაიო“; მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. საწყლებმა აიგიდეს თავიანთი ბარგი ბარხანა და გაუდგნენ თავბრუ დასხმული გზას, მაგრამ საით, რომ გვკითხნათ ამას გაიგონებდით: ჯანდაბაშიო.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო... 12-ი სექტემბერი, დაუვიწყარი იქნება ნაძალადევის მოსახლეებისათვის.. იქნებოდა დილის ათი საათი, როდესაც გამოჩნდნენ რამდენიმე პოლიციელები რკინის კეტებითა და ცულებით ხელში. ხალხს რაკი შეხედა ამათ, დაიწყო დენა. მეც გავეშურე და ეს იყო დავეწყეთ პირველი სახლის დანგრევა რომ მივედი. მაგრამ რა ვნახე! აშოროს ღმერთმა ის დღე უოველ რჯულის ხალხს, რაც დღე ნაძალადეველებმა გამოიარეს. აგერ გაიხედავთ დედაკაცი გულ-შემოყრილი გდია და წყლით ასურიელებენ: (უმეტესი ნაწილი მამაკაცები არ იყვნენ სახლში) იქით პატარები ფეხშიშველი შემკრთალი და შეშინებულები ტირილით დარბიან და წივილ-ტირილით ჰყვირიან: დედილო სახლს გვიქცევენო“. აგერ პატარა უმაწვილი დგას თავიანთ სახლის წინ და ღრიალებს, რომ ერთმა მისულთაგანმა დასანგრევად შემოუტია და გამოაგდო იმ ბინიდგან, სადაც წინა ღამეს ტკბილათ ეძინა. საბრალო უმაწვილი უფრო გულ-გახეთქილი გაიქცა დედას—ძახილით. ცოტას ხანს უკან, იქ სადაც ეს ხალხი სცხოვრებდა სულ მტვერი ადგნეს, ერთიანად მილეწ-მოლეწეს ყველაფერი. ასე გასინჯეთ ისე დაამტვრიეს ფიცრები, რომ შეშათაც აღარ გამოდგებოდა. ეს რომ ხალხმა დაინახა თითონვე დაუწყო თავიანთს ნაამგდარ ქოხებს დანგრევა, ფიცარი მაინც აღარ გაგვიფუჭდებაო, იმაჰდნენ საწყლები. ასე, ამ ნაირად მიანგრ-მოანგრიეს მთელი უბანი. (დაუქციეს ათ მოსახლეს) იქ სადაც ამ სამ წელს სიცოცხლე სდუღდა, იქ ეხლა ნაოხარი ნასახლარებიღა არის. საათ ნახევარში გაჰქრა იმოდენი უბანი. როცა მორჩნენ დანარჩენებსაც გამოუცხადეს: ამ ორ დღეში თქვენვე დაანგრიეთ, თორემ თქვენც ეს დღე დაგადგებათ, რაც ამათაო...

საკვირველი ეს იყო, რომ არც ერთმა მოსახლემ წინააღმდეგობა არ გამოიჩინა, მხოლოდ ეხვეწებოდნენ ისე ნუ დაანგრევთ, რომ შეშათაც არ გამოდგესო.

არ დამავიწყდება ჩემს დღეში ერთი სურათი, რომელიც მე იქ ვნახე: აგერ გულგახეთქილი მოვარდა საბრალო ბერიკაცი, მაგრამ სადაც დილას დანაყრდა და შემდეგ სამუშაოდ წავიდა, ის სახლი აღარ დახვდა... შეხედა თუ არა მაშინვე ფერი ეცვალა, მუხლები მოეკეცა... მაგრამ მალე გონს მოვიდა, მივიდა და გარს შემოეხვივნენ საბრალო ცოლ-შვილი ტირილით. ერთმა პატარა ბავშვმა უთხრა: მამა სად უნდა წავიდეთ ეხლაო?!! მამამ ხმა არ გასცა და მთელი ოჯახობა ერთი მეორეს შესცქეროდა გაშტერებული...

დამსწრე

განცხადებანი

ხარკოვში

,,რიბნი“ ქუჩაზედ

გაიმართა სასტუმრო

,,რ უ ფ ა“

დიდად მოხერხებულია, და იაფი.

საუკეთესო სამზარეულო აქვს ხარკოვში.

სასტუმროსთან არის გამართული უმთავრესი საწყობი რიგას ლუდის ქარხანის ,,ვალდშლიოსხენისა“.

ლუდი იგზავნება ყველა ქალაქში. 10—8 (გ. 17)

ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

ფასი ერთი შაური

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—45)

РЕДАКЦІЕЙ „ВѢСТНИКА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ ПРЕДПРИНЯТО

НОВОЕ ОБЩЕДОСТУПНОЕ ИЗДАНІЕ

собранія сочиненій избранныхъ иностранныхъ писателей.

Цѣль этого изданія дать возможность русской читающей публикѣ пріобрѣтать ПО НЕБЫВАЛО УДЕШЕВЛЕННОЙ ЦѢНѢ сочиненія образцовыхъ иностранныхъ писателей, собранныя вмѣстѣ въ соотвѣтственномъ числѣ томовъ удобнаго формата, доброкачественной внѣшности, въ безукоризненныхъ переводахъ, сдѣланныхъ впервые и заново. Ежемѣсячно 15-го числа будетъ выпускаться по два тома сразу, что составитъ ВЪ ГОДЪ 24 ТОМА (не менѣе 480 листовъ или около 8,000 страницъ въ 8-ю долю). Такимъ образомъ подписчики на это изданіе постепенно, въ непродолжительномъ времени, могутъ составить себѣ цѣлую библіотеку произведеній главныхъ и выдающихся корифеевъ всемірной литературы.

Въ настоящее время ОТКРЫТА ПОДПИСКА НА:

1) СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ АЛЬФОНСА ДОДЭ

ВЪ 12-ТИ ТОМАХЪ.

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ 3 р. съ доставкой и пересылкой 4 р.

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

2) СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ ТЕККЕРЕЯ

ВЪ 12-ТИ ТОМАХЪ.

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ 3 р. съ доставкой и пересылкой 4 р.

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

Подписывающіеся на оба изданія вмѣстѣ (цѣна 6 р., съ доставкой и пересылкой 8 р.) пользуются разсрочкой платежа при подпискѣ вносится 3 р., 15 декабря 1894 г. 3 р., а 2 р. за доставку и пересылку 15 марта 1895 г.

Гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою, за ручательствомъ гг. казначеевъ.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ редакціи «Вѣстника Иностранной Литературы», С.-Петербургъ, Верейская ул. (собствен. д.) и въ конт. редакціи—Гостиный дв. Зеркальная л., 63, магаз. Пантелеева (прот. Пажескаго корпуса); въ Москвѣ—въ конторѣ Печковской, Петровскія линіи.

Редакторъ Ѳ. И. Булгаковъ. Издатель Г. Ѳ. Пантелеевъ.

(8—5)

დაიბეჭდა და ისყიდება ზ. გრიქუროვის წიგნთ-საცავში

საღმრთო ისტორია

ძველ და ახალ აღთქმისა სურათებით. შედგ. გ. იოსელიანის მიერ. სახელმძღვანელო შედგენილია სამრევლო და საერო სკოლებისთვის. დამატებაში მოქცეულია უმთავრესი მოთხრობანი ქარ. ეკლესიის წმიდანებზე და რუსთა გაქრისტიანებაზე.

გამოცემა 2 ე. ფასი 50 კ. ვინც 30 ცალს იყიდის ერთად, წიგნი დაეთმობა 40 კაპ.

იბეჭდება და მალე გამოვა გრამატიკა არისტო ქუთათელაძისა- გამოცემა იმავე ზაქარია გრიქუროვისა. (3—მ—3)

Дозволено цезнурою Тифлисъ, 15-го Сентярбя 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.